



კვირის მიმოხილვა

კვირის მიმოხილვა | საქართველო
5 ოქტომბერი 2020

ეკონომიკა

ეკონომიკური ზრდა: საქსტატის წინასწარი მონაცემებით, 2020 წლის აგვისტოში რეალური მშპ 5.3%-ით შემცირდა, ივლისში დაფიქსირებული 5.5%-იანი კლების შემდეგ. ამასთან, აგვისტოში რეალური ზრდა დაფიქსირდა მხოლოდ სამთომომოპოვებით მრეწველობაში, ხოლო კლებას ჰქონდა ადგილი ეკონომიკის ყველა სხვა დანარჩენ სექტორში. ჯამურად, 2020 წლის პირველ რვა თვეში საქართველოს ეკონომიკა 5.6%-ით შემცირდა. რეალური მშპ-ის ყოველთვიური მაჩვენებელი იანვარიდან დღის ბრუნვების, ფისკალური და მონეტარული მონაცემების საფუძველზე.

ინფლაცია: საქსტატის მონაცემებით, 2020 წლის სექტემბერში სამომხმარებლო ფასები წლიურად 3.8%-ით გაიზარდა, ხოლო საბაზო ინფლაციამ, რომელიც კალათიდან გამორიცხავს სურსათის, ენერგომატარებლების და თამბაქოს ფასებს 4.7% შეადგინა. წლიური ინფლაციის ფორმირებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებში: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები (+6.3%), ჯანმრთელობის დაცვა (+7.5%) და ტრანსპორტი (-7.0%). ამასთან, 2020 წლის აგვისტოში წინა თვესთან შედარებით ფასები 0.7%-ით გაიზარდა.

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი წლიურად გაიზარდა და მშპ-ის 9.4% შეადგინა 2020 წლის მეორე კვარტალში. მიმდინარე ანგარიშის უარყოფითი სალდოს ფორმირებაზე, ტრადიციულად, ძირითადი ზეგავლენა საქონლით ვაჭრობის უარყოფითმა ბალანსმა იქონია, რომელიც წლიურად 39.8%-ით შემცირდა 530.1 მლნ აშშ დოლარამდე, რადგან საქონლის ექსპორტი 23.4%-ით, ხოლო იმპორტი 30.3%-ით შემცირდა. მომსახურებით ვაჭრობის დადებითი ბალანსი, წლიურად 98.4%-ით შემცირდა და 9.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (მშპ-ის 0.3%), რაც ძირითადად ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების კლებამ განაპირობა. მიმდინარე ტრანსფერტების დადებითი სალდო 339.1 მლნ აშშ დოლარი იყო (+1.4% წ/წ, მშპ-ის 9.5%).

2021 წლის ბიუჯეტი: მთავრობამ პარლამენტს წარუდგინა 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პირველადი ვარიანტი, რომელიც 5.0%-იან ეკონომიკურ ზრდას და 4.0%-იან მშპ-ის დეფლატორს ითვალისწინებს, ხოლო ფისკალური დეფიციტი მშპ-ს 5.1%-ზეა დაგეგმილი. საგადასახადო შემოსავლები წლიურად 16.1%-ით იზრდება და მშპ-ის 22.4%-ის დონეზეა მოსალოდნელი 2021 წელს. ნაერთი ბიუჯეტის მიმდინარე ხარჯები წლიურად 5.2%-ით მცირდება მშპ-ის 22.5%-მდე (თუმცა ეს პარამეტრი დაკორექტირდება ბიუჯეტის განახლებულ ვერსიებში სავალუტო ფონდთან კონსულტაციების შემდეგ), ხოლო კაპიტალური ხარჯები მშპ-ის 8.3%-ზეა დაგეგმილი. ამასთან, მთავრობა გეგმავს 2021 წელს დაფაროს 500 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ევრობონდი, თუ პანდემიის და ეკონომიკური პარამეტრების გაუარესებას არ ექნება ადგილი. შედეგად, მთავრობის ვალი მშპ-ის მიმართ 2021 წელს 55.9%-მდე მცირდება 2020 წლის 57.9%-იანი ნიშნულიდან.


სავალუტო ინტერვენციები: 2020 წლის 2 ოქტომბერს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სავალუტო აუქციონზე ლარის მერყეობის შესამცირებლად 20 მლნ აშშ დოლარი გაყიდა. ჯამურად, წლის დასაწყისიდან სებ-მა 15 სავალუტო აუქციონი გამართა და 469.7 მლნ აშშ დოლარი გაყიდა.

ეკონომიკური ინდიკატორები

	2017	2018	2019
მშპ (%-ლი ცვლილება)	4.8%	4.8%	5.1%
მშპ ერთ სულზე (ppp)	11,485	12,417	13,559
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	4,359	4,722	4,763
მოსახლეობა (მლნ)	3.7	3.7	3.7
ინფლაცია, პერიოდის ბოლო	6.7%	1.5%	7.0%
მთლიანი რეზერვები (მლრდ აშშ \$)	3.0	3.3	3.5
მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (მშპ-ს %)	8.1%	6.8%	5.1%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	2.7%	2.3%	2.0%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	39.4%	38.9%	39.8%

წყარო: ოფიციალური მონაცემები, გალტ & თაგარიტი

მშპ-ს რეალური ზრდა, %



წყარო: საქსტატი

საერთაშორისო რეიტინგები, 2019-20

- ბიზნესის კეთების სიმარტივე №7 (საუკეთესო 10-ეული)
- ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი №12 (ძირითადად თავისუფალი)
- გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი №74

წყარო: მსოფლიო ბანკი, Heritage Foundation და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი

საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი

 BB სტაბილური დასტურებული აგვისტო-2020	 Ba2 სტაბილური დასტურებული მარტი-2020	 BB უარყოფითი დასტურებული აგვისტო-2020
---	--	---

წყარო: სარეიტინგო სააგენტოები



ფულადი ბაზარი


გასულ კვირას სახაზინო ფასიანი ქაღალდების აუქციონი არ გამართულა. უახლოესი აუქციონი დაგეგმილია 2020 წლის 6 ოქტომბერს, სადაც 6-თვიანი 20 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები და 2-წლიანი 70 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების ბენჩმარკ ობლიგაციები გაიყიდება.

სახაზინო ფასიანი ქაღალდები, 2020 წელი

ვალიანობა	გამომგება წლის დასაწყისიდან მლნ ლარი	დარჩენილი გამომგება მლნ ლარი	დარჩენილი ვალდებულება*
6-თვე	290	60	180
1-წელი	510	150	680
2-წელი	630	210	1,250
5-წელი	720	240	1,928
10-წელი	110	40	1,197
სულ	2,260	700	5,235


წყარო: ფინანსთა სამინისტრო
შენიშვნა: * 2020 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით

სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სტბ

განხორციელებული ემისია და მოთხოვნა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბოლო აუქციონებზე, მლნ ლარი




წყარო: სტბ

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, წლიური ინფლაცია და ლარის გაცვლითი კურსი



წყარო: სტბ

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სტბ

შენიშვნა: ინდექსის ზრდა ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას, ხოლო კლება - გაცვლითი კურსის გაუფასურებას




ობლიგაციები

კორპორატიული ევროობლიგაციები: საქართველოს ბანკის ჯგუფის ევროობლიგაცია (GEBGG) დაიხურა 4.29%-იანი შემოსავლიანობით, ფასით 104.48 (+0.18% წინა კვირასთან შედარებით). საქართველოს კაპიტალის ევროობლიგაციებით (GEOCAP) ვაჭრობა დაიხურა ფასით 96.26 (+0.06% წინა კვირასთან შედარებით), 7.38%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ევროობლიგაციებით (GEOROG) ვაჭრობა დაიხურა ფასით 101.65 (+0.22% წინა კვირასთან შედარებით), 3.72%-იანი შემოსავლიანობით. საქართველოს რკინიგზის ევროობლიგაცია (GRAIL) ივაჭრებოდა 104.95 ფასად (-0.01% წინა კვირასთან შედარებით), 4.78%-იანი შემოსავლიანობით.


საქართველოს სუვერენული ევროობლიგაცია (GEORG) დაიხურა ფასით 102.28 (+0.16% წინა კვირასთან შედარებით), 2.40%-იანი შემოსავლიანობით.

ევროობლიგაციები (შემოსავლიანობა)



წყარო: Bloomberg

ევროობლიგაციები



წყარო: Bloomberg

ქართული ობლიგაციების ძირითადი მონაცემები

ევროობლიგაციები

გამომწვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
Georgia	US\$	500	6.875%	Apr-21	BB/BB/Ba2	102.28	2.40	216.55
GRAIL 07/22	US\$	500	7.750%	Jul-22	BB-/B+/-	104.95	4.78	456.65
GEORG 04/21	US\$	250	6.750%	Apr-21	BB/BB/-	101.65	3.72	348.10
GEBGG 07/23	US\$	350	6.000%	Jul-23	BB-/Ba2	104.48	4.29	404.75
GEBGG 11 1/8 PERP	US\$	100	11.125%	n/a	B-/-	102.64	9.42	997.46
GEOCAP 03/24	US\$	300	6.125%	Mar-24	-/B/B2	96.26	7.38	711.80
SILKNET 04/24	US\$	200	11.000%	Apr-24	B+/-/B1	105.29	9.19	893.25
TBC 06/24	US\$	300	5.750%	Jun-24	BB-/Ba2	102.12	5.11	483.76
TBC PERP	US\$	125	10.775%	n/a	B-/-	99.05	9.97	1,079.38
GGU 07/25	US\$	250	7.750%	Jul-25	-/B/-	100.94	7.51	717.97

ადგილობრივი ობლიგაციები

GWP 12/21	GEL	30	12.50%	Dec-21	BB-/-/-	n/a	n/a	n/a
M2CA 12/21	US\$	30	7.50%	Dec-21	-/-/-	99.41	8.00	n/a
M2RE 10/22	US\$	35	7.50%	Oct-22	-/-/-	97.09	8.00	n/a
GLC 06/21	US\$	5	6.50%	Jun-21	B+/-/-	99.10	7.75	n/a
GLC 08/21	US\$	10	7.50%	Aug-21	B+/-/-	99.98	7.50	n/a
GLC 08/22	US\$	10	7.50%	Aug-22	-/-/-	100.00	7.50	n/a
CRYSTAL 02/21	GEL	15	13.00%	Feb-21	B/-/-	100.00	12.00	n/a
Nikora Trade 08/21	GEL	25	9.00%	Aug-21	-/-/B+	n/a	n/a	n/a
SILKNET 04/24	GEL	34	12.50%	Apr-24	B+/-/B1/-	n/a	n/a	n/a
Geo. Beer Company	GEL	25	13.00%	Dec-23	-/-/BB-	n/a	n/a	n/a
Lisi Lake Development	US\$	12	8.00%	Dec-21	-/-/B+	n/a	n/a	n/a
Tegeta 04/22	GEL	30	10.75%	Apr-22	-/-/BB-	n/a	n/a	n/a
Swiss Capital 09/21	GEL	10	13.25%	Sep-21	B-/-/-	100.00	14.25	n/a
EVEX 11/24	GEL	50	12.10%	Nov-24	-/-/BB	n/a	n/a	n/a

წყარო: Bloomberg



ობლიგაციები

აღმოსავლეთ ევროპის 10-წლიანი სუვერენული ევროობლიგაციების ძირითადი მონაცემები

გამომწვევი	ვალუტა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
Georgia	US\$	500	6.875%	Apr-21	BB/BB/Ba2	102.28	2.40	216.55
Azerbaijan	US\$	174	2.820%	Sep-21	BB+/-/Ba2	100.70	2.03	181.05
Belarus	US\$	800	6.875%	Feb-23	B/B/B3	97.81	7.89	766.23
Kazakhstan	US\$	1,500	3.875%	Oct-24	BBB/BBB-/Baa3	109.25	1.50	120.82
Russia	US\$	3,000	4.875%	Sep-23	BBB/BBB-/Baa3	109.91	1.43	118.26
Turkey	US\$	2,000	5.625%	Mar-21	BB-/B1	100.64	4.26	402.64
Ukraine	US\$	1,409	7.750%	Sep-21	B/B/Caa1	102.71	4.65	442.52

წყარო: Bloomberg





აქციები

საქართველოს ბანკის ჯგუფის (BGEO LN) აქციები დაიხურა 8.90 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +3.37% წინა კვირასთან შედარებით და -3.68% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 235 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 8.40 – 9.00 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 105 ათასი აქცია შეადგინა.

Georgia Capital-ის (CGEO LN) აქციები დაიხურა 3.75 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +3.73% წინა კვირასთან შედარებით და -4.70% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 398 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 3.51 – 3.81 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 124 ათასი აქცია შეადგინა.

თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN) აქციები დაიხურა 10.04 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +1.41% წინა კვირასთან შედარებით და +11.56% წინა თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 210 ათასს გადააჭარბა, GBP 9.53 – 10.26 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 66 ათასი აქცია შეადგინა.





აქციები

აღმოსავლეთ ევროპის ბანკები

ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ. მლნ აშშ \$	6 თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას. ცვლ.	P/E		P/B		
							2020F	2021F	2020F	2021F	
Bank of Georgia	BGEO	GBP	8.90	438	-1.8%	-33.1%	-45.2%	7.38x	3.89x	0.74x	0.62x
TBC	TBC	GBP	10.04	552	41.0%	-13.0%	-22.8%	6.94x	4.59x	0.80x	0.69x
Halyk Bank	HSBK	US\$	10.50	3,085	23.5%	-13.6%	-21.3%	4.17x	3.83x	0.84x	0.78x
VTB Bank	VTBR	US\$	0.82	5,285	-0.7%	-35.4%	-44.3%	4.22x	3.04x	0.32x	0.29x
Akbank	AKBNK	TRY	5.15	26,780	-5.7%	-34.6%	-36.5%	6.35x	4.49x	0.64x	0.56x
Garanti	GARAN	TRY	7.11	29,862	-6.4%	-28.4%	-36.2%	6.00x	4.40x	0.70x	0.59x
Isbank	ISCTR	TRY	5.35	24,075	15.8%	-12.4%	-16.5%	5.51x	4.20x	0.53x	0.47x
PKO	PKO	PLN	21.32	26,650	-2.3%	-43.0%	-38.1%	10.41x	9.51x	0.59x	0.58x
PEKAO	PEO	PLN	50.24	13,186	-7.0%	-49.4%	-50.0%	12.53x	9.29x	0.53x	0.52x
Millennium	MIL	PLN	2.69	3,268	-15.8%	-53.1%	-53.9%	12.21x	8.05x	0.36x	0.36x
Mbank	MBK	PLN	169.10	7,159	-20.8%	-50.5%	-56.6%	14.26x	9.99x	0.42x	0.42x
BRD	BRD	RON	12.84	8,948	15.7%	-8.4%	-18.9%	12.02x	11.68x	1.00x	1.05x
Banca Transilvania	TLV	RON	2.27	11,814	28.7%	-5.2%	-12.7%	13.67x	11.83x	1.45x	1.40x
OTP	OTPD	USD	22.80	12,768	0.0%	7.5%	7.5%	14.13x	12.48x	0.74x	0.70x
Komercni	KOMB	CZK	482.00	91,604	-2.0%	-37.0%	-41.9%	12.14x	10.03x	0.81x	0.79x
საშუალო								9.46x	7.42x	0.70x	0.66x
მედიანა								10.41x	8.05x	0.70x	0.59x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ

ინვესტიციების მართვის შესადარი კომპანიები

ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ. მლნ აშშ \$	6 თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას. ცვლ.	P/E		P/B		
							2020F	2021F	2020F	2021F	
Georgia Capital	CGEO	GBP	3.75	138	-10.7%	-62.3%	-59.3%	n/a	n/a	n/a	n/a
Tinc Comm	TINC	EUR	13.40	365	8.5%	0.2%	0.4%	n/a	n/a	n/a	n/a
Sabancı Holding	SAHOL	TRY	8.38	17,099	13.2%	-8.2%	-12.2%	5.41x	4.71x	0.65x	0.55x
Deutsche Beteiligungs	DBAN	EUR	31.65	476	24.1%	-6.1%	-19.8%	nmf	11.26x	1.04x	0.99x
Eurazeo	RF	EUR	45.84	3,611	19.3%	-31.2%	-24.9%	18.79x	6.37x	0.65x	0.60x
Carlyle Group	CG	USD	25.21	2,790	24.8%	3.6%	-21.4%	4.45x	3.70x	3.57x	3.96x
საშუალო								9.55x	6.51x	1.48x	1.53x
მედიანა								5.41x	5.54x	0.85x	0.80x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტში) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეხარად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კუთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოვლენი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოფს დაცვა.

გალტ ენდ თაგარტი
მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102, საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: gt@gt.ge